EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC.

ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Chkhartishvili v. Georgia

საჩივარი N31349/20

11.05.2023

ფაქტები

მომჩივანი ლაშა ჩხარტიშვილი არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1980 წელს და ცხოვრობს თბილისში. ის არის სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი და საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წევრი.

2019 წლის 29 ნოემბერს, დილით, ბ-ნმა ჩხარტიშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკის წინ გამართულ აქციაში, სადაც იუსტიციის მინისტრის სიტყვით გამოსვლა იყო დაგეგმილი. დემონსტრაცია, რომელსაც რამდენიმე ასეული მომიტინგე დაესწრო, იყო ერთ-ერთი საპროტესტო ციკლიდან რომელიც მოჰყვა პარლამენტის მიერ საარჩევნო რეფორმის დამტკიცების ჩავარდნას. ღონისძიების ვიდეო გაშუქებაში ჩანს, რომ პოლიცია მათ ეუბნება, არ გადაკეტონ გზა და შენობის შესასვლელი. რაღაც მომენტში ჩანს, რომ ბ-ნი ჩხარტიშვილი პოლიციას ლობიოს მარცვლებს ესვრის და ყვირის, რომ ლობიო ადრე „მონების ფაფა“ იყო.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ორი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე იგი დაუყოვნებლივ დააკავეს და თბილისის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, მომჩივანმა გადაკეტა გზა, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციას და არ დაემორჩილა მათ ბრძანებებს.

ის მოსამართლის წინაშე იმავე დღეს წარადგინეს. მოსამართლის რამდენჯერმე ხმამაღალი კრიტიკისა და საუბრის შეწყვეტის შემდეგ, ბ-ნი ჩხარტიშვილი სასამართლოს უპატივცემულობისთვის 300 ლარით (GEL) დაჯარიმდა. შემდგომი გაფრთხილების შემდეგ ის სასამართლოდან გააძევეს და საქმე მის დაუსწრებლად განიხილეს.

ბ-ნი ჩხარტიშვილის ადვოკატმა სასამართლო პროცესის გადადება მოითხოვა და განაცხადა, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე მას არ შეეძლო მასთან შეხვედრა და დრო სჭირდებოდა საქმის მასალების გასაცნობად და მტკიცებულებების შესაგროვებლად. მოსამართლემ მოთხოვნა დააკმაყოფილა და სხდომა სამი საათით და ათი წუთით გადადო. სხდომის განახლების შემდეგ მან უარყო დაცვის მხარის ადვოკატის შემდგომი მოთხოვნა, დაეკითხა ჩხარტიშვილი მოწმის სახით, სასამართლო განმეორებით გადადებულიყო და რომ ჩხარტიშვილი გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან.

სხდომაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დამწერმა ოფიცერმა, სხვა საკითხებთან ერთად, განაცხადა, რომ სულ მცირე წინა ორ შემთხვევაში - 2008 და 2014 წლებში, ბ-ნ ჩხარტიშვილს ადმინისტრაციული ჯარიმა ჰქონდა მიღებული. ოფიცერმა მოითხოვა, რომ სასამართლოს უფრო მკაცრი სანქცია გამოეყენებინა, როგორც მომავალში შემაკავებელი ფაქტორი. ბ-ნი ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა გააპროტესტა ოფიცრის განცხადება, როგორც დაუსაბუთებელი და შეუსაბამო.

იმავე დღის მეორე ნახევარში, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ-ნი ჩხარტიშვილი დამნაშავედ ცნო პოლიციის ბრძანებების შეუსრულებლობასა და მათი შეურაცხყოფისთვის. მას რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელების „მონებად“ მოხსენიება შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო და ითვალისწინებდა საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მან დაადგინა, რომ მსგავსი ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს პროტესტის ფორმად.

ბ-ნი ჩხარტიშვილის მიერ შეტანილი შემდგომი საჩივარი - რომლის მიხედვითაც იგი დავობდა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო ეყრდნობოდა ექსკლუზიურად პოლიციელების ანგარიშს, რომ გაურკვეველია რომელი კანონიერი ბრძანებას არ დაემორჩილა იგი და რომ მისი დაკავება და ნასამართლობა არ იყო გამართლებული - არ იქნა განსახილველად მიღებული, როგორც დაუშვებელი.

საჩივრები, სამართალწარმოება და სასამართლოს შემადგენლობა

მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმე არ იყო განხილული სამართლიანად და რომ მისი დაკავება და დაპატიმრება წარმოადგენდა მის უფლებებში დაუსაბუთებელ ჩარევას. მომჩივანი ასევე დავობდა მე-5 მუხლის 1(გ) ქვეპუნქტით (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), რომ მისი ადმინისტრაციული დაკავება და დაპატიმრება 2019 წლის 29 ნოემბერს იყო უკანონო და თვითნებური.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მე-6 მუხლი

სასამართლომ არ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ხელი შეუშალა ბ-ნ ჩხარტიშვილსა და მის წარმომადგენელს შორის კონტაქტს. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხდომა გადაიდო სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი ადვოკატი კვლავ ამტკიცებდა, რომ მას არ შეეძლო მისი ნახვა. თუმცა, მან არ წარმოადგინა რაიმე დამაჯერებელი ახსნა ან მტკიცებულება და არ შეუტანია საჩივარი.

ბ-ნი ჩხარტიშვილის საჩივრის საპასუხოდ, რომ სასამართლო დარბაზიდან მისი გაყვანა ართმევდა მას პროცესში ეფექტურად მონაწილეობის შესაძლებლობას, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა სასამართლო კოლეგიის ჩვეულებრივი მოვალეობაა და წესები თანაბრად ეხებოდა ყველას. მან აღიარა, რომ ბ-ნი ჩხარტიშვილის საქციელი შეადგენდა სათანადო ქცევის ელემენტარული სტანდარტების უხეშ უპატივცემულობას და აღნიშნა, რომ მოსამართლემ გააფრთხილა ის, რომ მას მოუწევდა მისთვის იძულებით დაეტოვებინებინა დარბაზი, თუ ის არ შეწყვეტდა

სასამართლოსთვის ხელისშეშლას. იმის თქმით, რომ მას ეს არ აღელვებდა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან უარი თქვა სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებაზე. ამას გარდა, მისი წარმომადგენელი დარჩა სასამართლო დარბაზში და წარდგინებები გააკეთა მისი სახელით.

დაბოლოს, რაც შეეხება მის საჩივარს იმის შესახებ, რომ ეროვნული სასამართლოები ეყრდნობოდნენ მხოლოდ პოლიციელების განცხადებებს, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ მტკიცების ტვირთი გადაეცა მომჩივანს, რადგანაც მის წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრალდება მოიხსნა მტკიცებულებების ნაკლებობის გამო, მიუხედავად პოლიციის თანამშრომლების განცხადებებისა. საქმის მასალებში მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერებიც იყო.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოება ჩატარდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 (ბ) და (გ) პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად. მან მომჩივნის ეს საჩივრები მიიჩნია დაუსაბუთებლად და განუხილველად დატოვა საჩივრის ეს ნაწილი.

მე-10 მუხლი მე-11 მუხლთან ერთობლიობაში

სასამართლომ განიხილა საჩივრები ბ-ნი ჩხარტიშვილის დაკავებისა და პატიმრობის შესახებ მხოლოდ მე-11 მუხლის საფუძველზე მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.

ბ-ნი ჩხარტიშვილის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა ეფუძნებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლს, ლეგიტიმური მიზნით არეულობის თავიდან აცილებისა და სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. საჭირო იყო იმის დადგენა, იყო თუ არა ჩარევა პროპორციული, განხილული გამოხატვის თავისუფლების უფლების გათვალისწინებით, და უპასუხა თუ არა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, დაწესებული სასჯელის ბუნებისა და სიმძიმის გათვალისწინებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2019 წლის 29 ნოემბრის დემონსტრაცია იყო საპროტესტო აქციების ნაწილი პარლამენტის მიერ ადრე დაგეგმილი საარჩევნო რეფორმის დამტკიცების წინააღმდეგ. ეს საკითხი იყო საზოგადოების ინტერესი და ხელი შეუწყო საზოგადოებაში მიმდინარე დებატებს. ამიტომ საჭირო იყო ძალიან ძლიერი მიზეზები, რათა გამართლებულიყო ბ-ნი ჩხარტიშვილის მიმართ დემონსტრაციის დროს აზრის გამოხატვის შეზღუდვა.

ერთი მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეები, რომლებიც მოქმედებენ სამსახურებრივი უფლებამოსილებით, ექვემდებარებიან მისაღები კრიტიკის უფრო ფართო საზღვრებს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები და გარკვეული ზომიერება შეიძლება მოექცეს ამ საზღვრებში. მეორე მხრივ, სასამართლომ მხედველობის მიღმა ვერ დატოვა ის ფაქტი, რომ ბ-ნმა ჩხარტიშვილმა პოლიციას საჯაროდ ესროლა გამხმარი ლობიო მაშინ, როცა ოფიცრები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მომჩივანი არ ყოფილა მოძალადე და ლობიოს არავინ დაუზიანებია და არ გამოუწვევია ძალადობის ესკალაცია. მართლაც, თავად დემონსტრაცია მშვიდობიანად წარიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დიდმა ნაწილმა. იმის თქმით რაც ლობიოს სროლისას პოლიტიკოსმა ჩხარტიშვილმა თქვა, მან შესაძლოა იგულისხმა, რომ პოლიციელები მხარს უჭერდნენ მმართველ პარტიას, რომელიც ჩავარდნილი რეფორმის წყარო იყო. სასამართლომ გაიხსენა, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ მომჩივნის საქციელმა შესაძლოა გაამართლა ხელისუფლების მხრიდან ჩარევა, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ პატიმრობის სანქცია გამოიყენებოდა ფუნდამენტური თავისუფლების განხორციელების კონტექსტში, რაც მოითხოვდა განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ-ნ ჩხარტიშვილს რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა ძირითადად თავისი შეხედულებების გამოხატვის გამო, და არა იმიტომ, რომ გზიდან არ გადავიდა. თუმცა, ეროვნული სასამართლოების მსჯელობა პატიმრობის სანქციის დაკისრების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ ეხებოდა მომჩივნის ქცევის უფრო ფართო კონტექსტს. ამას გარდა, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი საფუძვლები თავისთავად საკმარისი იყო სანქციის პროპორციული ასახვისთვის. კერძოდ, არ ჩანდა, რომ კანონით გათვალისწინებული პირობები მისი წინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გასათვალისწინებლად დაკმაყოფილებული იყო, როგორც ეს წარსულში ხდებოდა. სათანადო მსჯელობის არარსებობის შემთხვევაში და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლების გამოყენების კონტექსტში, მომჩივნის არაძალადობრივი ქცევისთვის თავისუფლების აღკვეთის სანქცია გუმართლებელი იყო მაშინაც კი, თუ დამრღვევი ქცევა

შემაწუხებელი იყო. სასამართლომ დაასკვნა, რომ, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.

მე-5 მუხლი

ვინაიდან ჩხარტიშვილის წინასწარი პატიმრობა დასრულდა 2019 წლის 29 ნოემბერს, სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივრის ეს ნაწილი შეტანილი იყო ვადის გადაცილებით და დაუშვებლად ცნო იგი.

სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ მომჩივანს უნდა გადაუხადოს 1200 ევრო (EUR) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.